24/02/2023

საქართველოს საპატრიარქოსა და შპს ,,გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრს“ შორის მემორანდუმი გაფორმდა

ა.წ. 23 თებერვალს საქართველოს საპატრიარქოსა და შპს ,,გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრს“ შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს სასულიერო პირებისა და მათი ოჯახის წევრების გულ-სისხლძარღვთა უფასოდ გამოკვლევას.

კლინიკის აღმასრულებელი დირექტორის, ბატონ რევაზ ჯორბენაძის განცხადებით, ,,გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ წინასწარ განსაზღვრულ დღეებში ასევე უფასოდ ატარებს კვლევებს სოციალურად დაუცველთათვის, პედაგოგებისთვის, ვეტერანებისა და დევნილებისთვის.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა კლინიკის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისათვის, დალოცა ისინი და შემდგომი წარმატებები უსურვა.

საკონტაქტო ტელეფონი:
599 51 75 71

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური